№ 90 25 მარიამობისთვე, ოთხშაბათი 1866–1876 25 მარიამობისთვე, ოთხშაბათი № 90

რედაქცია
ველიამინოვის ქუჩაზე, არტემ ჩაიგეშტოვის სახლებში.
—
ხელის-მოწერა
რედაქციაში და სტ. მელიქიშვილის სტამბაში. ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „Дроэба“.
—
გაზეთის ფასი
წელიწადში—8 მან., ნახევარ წელიწადში—4 მან. და 50 კაპ., თვეში—1 მან.
ცალკე ნომერი—ერთი შაური.

# დროება

გამოდის კვირაობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით

განცხადება
მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და ფრანცუზულს ენებზე.
—
განცხადების ფასი
დიდი ასოებით, ასოზე—1 კაპ., ასო-მთავრულით, სტრიქონზე—8 კაპ., ციცეროთი, სტრიქ.—5 კაპ. და პეტიტით—4 კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს გამოგზავნილ სტატიებსა.
დაუბეჭდელი სტატია ავტორს არ დაუბრუნდება.

## საქართველო

### დღიური

—

დიდი მთავარი კავკასიის ნამესტნიკი ამ თვის 14-ს ნასადილევის 4 საათზე მშვიდობით დაბრუნდა ბორჯომს სამზღვარ გარეთ მოგზაურობის შემდეგ. 21 აგვისტოს მისი უმაღლესობა ბორჯომიდამ ახალქალაქს წაბძანდა ცხენით და აქედამ ახალის გზით გაივლის ოსმალოს სამზღვარის მხრით და შემდეგ მიბრძანდება გუმბრს (ალექსანდროპოლს) იქ დაბანაკებულ კავკასიის გრენადერის დივიზიის დასახედავად.

***

გასულ კვირას, 22-ს, ალექსანდროვის ბაღში გამართული იყო სახალხო სეირნობა ბალკანის ნახევარკუნძულის სლავიანებით სასარგებლოდ. დიდი მოძრაობა, აუარებელი ხალხი. ყოველ კაცის სულზე ბაღში შესვლა ორ [illegible] გარდა ბევრი ქალები და კაცები, განსაკუთრებით გიმნაზიელები, პატარ-პატარა თანაქის ყუთებით დაიარებოდნენ და ზემოხსენებულ სლავიანებისავე სასარგებლოდ ფულებს აგროვებდნენ ხალხში.

ჩვენ შევიტყვეთ, რომ ამ საღამოს სულ 1,698 მანეთი და 55 კაპ. მოუგროვებიათ.

***

„ახლად გახსნილს გორის სამასწავლებლო სემინარიაში იმდენი შაგირდები მოვიდნენ სხვა-და-სხვა მხრიდამ და კიდევ აპირებენ მოსვლასო, გვწერენ ჩვენ გორიდამ, რომ ნახევარი, როგორც ვატყობ, უკანვე დაბრუნდება, რადგან ამდენის ადგილი არ იქნება ამ პირველადო.

„არაერთხელ თქმულა, რომ ჩვენი სასწავლებლები ვერ აკმაყოფილებენ (რიცხვით) მოსწავლეთა სურვილსა და სწორეთ რომ მართალი თქმაა ეს თქმა.“

***

იქიდამვე გვატყობინებენ, რომ მძორეთის ხეობისაკენ, ციციანთ ტყეებს ორგან-სამგან ცეცხლი გაჩენია. აგვისტოს 18-მდი ხალხს აქრობინებდნენ, მაგრამ ვერა უშველეს რა, რადგან ძლიერ ეკიდებოდაო. დღევანდელმა ღამის წვიმამ კი კარგი საქმე [illegible], რომ თუნდა ჯოჯოხეთის ცეცხლს დააქრობდა. ორი კვირაა თურმე, რაც გაუნელებელი ცეცხლი ტრიალებდა ამ დიდს ტყეში, სადაც რა თქმა უნდა, ხმელი ხეებიც ბლომად ჰყრია. ცეცხლი, რასაკვირველია, მუშებისგან იქნება. პოლიციის ჩინოვნიკებს ასობით და ორასობით ხალხი გაჰყავთ, მაგრამ ვერაფერი უშველესო.

***

სურამიდამ გვატყობინებენ, რომ, ამ ჟამად აქ დაიარება გამიჯვნის კომისიის წევრი და აქაურ მამულებს მიჯნავს, საზღვრავსო. ბევრი მამულის პატრონები ცდილობენ, ჩვეულებრივად, ძალით, ჩხუბით დაიცვან თავიანთი მამულებიო, მაგრამ უფ. მიწისმზომელი ისეთის „მამაცობით იქცევაო, რომ ისინი თავის განზრახვას ვერ ასრულებენო.“

***

მარტო ჩვენი თფილისი კი არ მოღვაწეობს სლავიანებისათვის, მარტო ეს კი არ აგროვებს იმათთვის ფულებს: ქუთაისიდამ გვწერენ, რომ გასულ კვირის შაბათს, ამავე მიზნით, იქ კონცერტი და სპექტაკლი იყო გამართული; სურამს ხვალ ხუთშაბათს ქართული წარმოდგენა იქნება; ახალქალაქშიაც კი, რომელშიაც ამას წინათ ზაქათალელებისათვის იყო [illegible] ქართული წარმოდგენა, ახლა სლავიანების სასარგებლოდ აპირებენ კიდევ ერთსა. ბორჯომს და აბასტუმანს სპექტაკლი და სალიტერატურო საღამო, მანგლისშიაც საღამო. ზოგიერთ ქალებს თითები დაუცვითათო მომეტებულ კორპიის ჩეჩით...

ერთი სიტყვით, გულ-მხურვალედ, ერთგულად შეუდგნენ ჩვენში ამ საქმეს... ერთგულად შეუდგნენ, თუ ბოლოს რამ სიკეთე გამოვიდა, თუ ამდენ შეწევნამ ცოტაც არის მაინც გაამხნევა სლავიანები და მტრის დამარცხების ღონის-ძიება მისცა. ჯერჯერობით კი, როგორც დღევანდელის ჩვენი გაზეთიდამაც შეიტყობთ, იმათი საქმე როგორღაც ხეირიანად ვერ მიდის...

***

მადლობა ღმერთს! როგორც იყო, მგონი, გავთავისუფლდით წლევანდელ პაპარაქება სიცხისაგან. შემოდგომის შუქმა მოგვბერა. ქალაქს გარეთ სოფლებში, აგარებში და მადნის წყლებზე გასული ხალხი ნელ-ნელა ბრუნდება ჩვენს ქალაქში და თავიანთ ჩვეულებრივ საქმეებს ჰკიდებენ ხელს...

***

გუშინწინ შუადღეზე, 23 აგვისტოს, ხაშურში გაჩენილა ცეცხლი, და, როგორც გვატყობინებენ, რაც რკინის გზის სტანციის მახლობლად დუქნები იყო, სულ გადამწვარა. ამ დუქნებში საზღვეველ საზოგადოებაში შეტანილი მხოლოდ ორი ყოფილა.

—

## ფელეტონი

### ცხელ-ცხელი ამბები

—

### მე და ჩემი ხლებული

— აი დაილახვროს თქვენი გაჩენა, რაც კაი ფრინველი თქვენ არ იყოთ! გულ-განგებ რომ ეძებოს კაცმა ნადვლისთვის წამლათ, ერთსაც ვერსად შეხვდება, და თუ მძორი გაუჩნდათ, გუნდა-გუნდათ იყრიან თავს! ვინ იცის, საიდამ არ მოფრინდებიან ხოლმე!...

წამოიძახა ჩემმა ხლებულმა და მიმახედა მარცხნივ ერთ ხევისაკენ, სადაც ყორნები რაღაცას თავს-დასტრიალებდნენ. მე გამოვართვი ჩემს თანამოგზაურს გატენილი თოფი და მოვინდომე პირ-და-პირ იმ გუნდისკენ ტყვის გატყორცნა....

— ნუ! ნუ! ღმერთი გადღეგრძელებსთ, მაგას ნუ ინებებთ, თორემ ტყეში გადაცვივდება ხალხი; მაინც გულ-დახეთქილები არიან! განაგრძო ხლებულმა.

ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ, ისევ მოჰყვა:

— ღმერთმა აცხოვნოს! ღმერთმა აცხოვნოს! მისთვის არც ტირილი და არც გულზედ ხელების დაკრეფა.. მღვდლების ნაცვლად ყორნები დაჩხავიან თავზედ! ეს არის მაგის წესის აგება? ჰე.... ვაი ჩვენი ბრალი!...

— ეგება პირუტყვი იყოს-მეთქი? უთხარი მე.

— რა ბძანებაა; წრეულს საქონლის ჭირი არ გლხებიათ! ნეტავი სხვებ არ გაგვრისხებოდა ღმერთი და ოთხფეხობას არა გაჭირვებია რა.

— ნამდვილად იცი, რომ ადამიანია?

— კი, ბატონო! რა ბძანებაა!... ვინმე ცოლ-შვილის პატრონი საწყალი მუშა ტყვიისაგან გაბოროტებული შევარდებოდა ტყეში და ბოლოს უპატრონოთ ჩაეჩხებოდა ღელეში. ეგ პირველი არ არის, მაგგვარად ბევრი მონახეს! ამ სიტყვაზედ ამოიოხრა და ცრემლები მოერია.

— ვისი ბრალია? რაზედ იჭირვებდით საქმეს? აგრე ძნელია, ჩემო კეთილო, წინ-დაუხედაობა.

— ჰმ.... ჰმ.... გამწარებული სიცოცხლის ბრალია!. სხვისი არაფრის.... ეს ოხერი ჩვენი ქვეყანა, დაიქცეს ბარემ და ამოვარდეს, მხოლოდ თვალს ატყუებს, მეტი არა არის რა: ვენახი თუ შევიმუშავეთ, ყურძენს დაგვინაცრავს, პური მოვიყვანეთ, ხორბალი გაგვიფრინდება და სხვა რაღა დაგვრჩა? სიმიდი და სიმიდი! იმასაც ხან წვიმა გვილპობს და ხან ზენა-ქარი გვიხმობს უდროვოთ. სულ ბევრიც რომ მოგვივიდეს, სულ ბევრი ოცი კოდი: ეს არის ჩვენი წლის ოფლი. ამან ან ცოლშვილი როგორ გამოგვიკვებოს და ან ბატონი რითი გაგვასტუმრებიოს? წაიღოს ბატონმა მისი მეოთხედი, რაც ერგება სანადელოთ, ჯანი გავარდეს, რა გაეწყობა! ერგებაო, ამბობენ, და ერგოს. მაგრამ საქმე ის არის, რომ არც ამას სჯერდება ჩვენი ბატონი: რომ შეატყო, ნადელი ხელს არ მომცემსო, ფულათ გადაგვიჭრა სამსახური და გინდა თუ არა, ოც-ოც-და-ხუთი მანეთი მიხადეთო!.. საიდამ? როგორ? რა საშუალებით? ამას როდი დაეძებს. ამას გარდა სხვა გადასახადებიც ბევრი გვაწევს კისერზედ. სხვა არა იყოს რა, მარტო გზის მუშაობამ გაგვიჭირვა საქმე!... ადრე, გაგვიგონია, გზებზედ კაცები დადიოდნენ და ახლა გზებმა აიდგეს ფეხი და დადიან....

— როგორ თუ დადიან?

— ასე ჰქვიან, ღმერთმანი! ხან იქით გადაჰყავთ და ხან აქეთ; დღეს რომ მარცხნივ მიდის, ხვალ მოუშლიან და მარჯვნივ მიახვევენ ხოლმე. ვისაც კი შეუძლიან ფულის გამოღება, კიდევ კარგი, თავს უშველის ხოლმე, მაგრამ ყველა ხომ ისე ბედნიერი არ არის, რომ შეიძლოს თავის გამოხსნა!...

— რატომ თქვენ უფროსს არ შესჩივლებთ, და არ აუხსნით დაწვრილებით თქვენს გარემოებას?

— არკი შევსჩივლეთ!

— მერე?

— მერე ის, რომ მამასახლისებთან მიგვაგზავნა. მე იმათ ვეტყვი ყველაფერს და ისინი თქვენ გადმოგცემენო. რაც ამათ გითხრან, დაუჯერეთ და ისე მოიქეცითო.

— მამასახლისებმა რა გითხრესთ?

— მათი ოჯახის ამოვარდნა და მათი ცოლ-შვილის გაწყვეტა!... ცხრა წელიწადი გათავდა და აწ ნადელს ნულარ გადიხდითო! ნუ გეშინიანთ, გამაგრდითო! მართალია, უფროსები გაგირისხდებიან, მაგრამ ის რისხვა ცარიელი მუქარათ ჩაივლისო!... ანგარიშები სულ სხვა იქნებაო! დაგვატყუეს: ჩვენც გავბრიყვდით, დავიჯერეთ, ავტყდით და სულ „კუჩხა-ბედნიერის“ სიმღერით მივდიოდით და მისთანა თქვენს მტერს ჩვენ „კუჩხა-ბედნიერი“ დაგვემართა: კუჩხიც (ფეხი) მოგვაღეწეს და თავიც!

— როგორ!

— მისვლის დროს შუბლში გვახალეს და გაქცეულს მოგვაყოლეს..

— სსსუ! გაჩუმდი! ხმა აღარ ამოიღო: მაგაზედ ლაპარაკი არ შეიძლება!.

ტკიკი

# უცხო ქვეყნები

ომის ამბავი. რაც დღეა, რაც ალექსინაცსა და ნიშს შუა ბრძოლა თითქმის არ შეწყვეტილა. ყოველ დღე თავს ესხმოდნენ ოსმალოები ჩერნიაევის ჯარს, ყოველ-დღე ერთი საშინელი შეტაკება იყო, მაგრამ სერბიელები მარჯვედ უხვდებოდნენ: რამდენჯერმე თითქო კიდეც დაამარცხეს და უკან დააბრუნეს ოსმალოს ჯარები.

მაგრამ გუშინ მოსულ დეპეშამ კი სერბიელებისათვის არა-სასიამოვნო ამბავი მოგვიტანა: იქვე, ალექსინაცთან 20-სა და 21 აგვისტოს 16 საათის განმავალობაში გაცხარებული შეტაკება ყოფილა და სერბიელების დამარცხების შემდეგ, ოსმალოს ჯარს გარს შემოუვლია ალექსინაცისათვის, სხვა გზით გადასულა მდინარე მორავის მარცხენა ნაპირზე და ისე შემოუვლია სერბიელებისთვის, რომ კინაღამ ალექსინაცში არ ჩაუმწყვდევიათ და ყოველის მხრით გზები არ შეუკრავთ. ამბობენ, რომ სერბიის ჯარს გამოუსწევრია, ალექსინაციდამ გამოსულა; მაშ ოსმალოს ჯარებს პარაჩინისა და ჩუპრიისაკენ თავისუფალი გზა ექნებათ.

თუ ეს დეპეშა ნამდვილია, თუ ოსმალებმა აიღეს ალექსინაცის სიმაგრე, რომელიც ძალიან მარჯვე ციხედ მიაჩნდათ და რომელთანაც უმთავრესი სამხედრო ძალა იყო სერბიისა მოგროვილი, მაშინ კრაგუევაცის აღებაც, უეჭველია, ისე აღარ გაუძნელდებათ.

მაგრამ ამ უკანასკნელ დროს იმდენს ლაპარაკობენ მშვიდობიანობის ჩამოგდებაზე, რომ საფიქრებელია, სანამ კრაგუევაცსა და ბელგრადამდინ მიაღწევდნენ ოსმალოს ჯარები, მორიგებას მოახდენენ.

ჯერ კი გასულ კვირაში ერთმა-ორმა გამარჯვებამ ისე გაამხნევა სერბიის მმართებლობა, რომ მორიგებაზე სიტყვის გაგონებაც ეზარებათ. სერბიელი გაზეთი „ისტოკ“ მინისტრის რისტიჩის ორგანო, და „გლას ჩერნოგორცა“—ჩერნოგორიის ოფიციალური გაზეთი, ორივე გაცხარებულ სტატიებს ჰბეჭდენ და ამბობენ, რომ მორიგება შეუძლებელია, სანამ სლავიანური პროვინციები სრულებით არ განთავისუფლდებიან ოსმალოს ბარბაროსულ დამოკიდებულებისაგანაო. ვნახოთ, რას იტყვიან ეს გაზეთები ახლა, ამ უკანასკნელ დამარცხების შემდეგ.

— დიდი ამბავი დასწიეს რუსის გაზეთებმა იმის გამო, რომ ამას წინათ ვენგრიაში, პეშტში, ორმოც-და-ათი რუსი დაიჭირეს, რომელნიც სერბიის ჯარში ვოლონტერად მიდიოდნენ. „ეს რაღა არის კიდევ! როგორ თუ ვენგრიის მმართებლობა რუსის იმპერიის ქვეშევრდომის დატუსაღებას ჰბედავსო!“ გაცხარებით სწერენ „მოსკოვის უწყებებში“ ამ შემთხვევაზე. ახლა მოვიდა ამბავი, რომ ოთხი დღე შეუჩერებია პეშტის პოლიციას ეს 50 კაცი და შემდეგ გაუშვიათ; 20 აგვისტოს ისინი ბელგრადში მისულან.

ოსმალეთი. როგორც წინანდელ ხონთქარს მურად მეხუთეს, ტახტზე ასვლის დროს, აქებდნენ და ადიდებდნენ: ჭკვიანი, მხნე, გულ-ლმობიერი, ევროპიულად განათლებული კაცი არისო,—სწორეთ ისე აქებენ ახლა იმის მოადგილეს აბდულ-ჰამიდსაც. ერთი ნემეცური გაზეთის სტამბოლელი კორრესპონდენტი ამბობს, რომ ახალი ხონთქარისათვის ღმერთს ნათელი ჭკუა, კეთილი გული, გამბედაობა, და ენერგიული ხასიათი მიუციაო; იმას კარგათ ესმისო, რომ ოსმალეთს ევროპის ცივილიზაციის გზაზე დადგომა იხსნის ახლაო და, უეჭველია, რომ, კიდეც დაადგება ამ გზას და მით თავის ქვეშევრდომთ გააბედნიერებსო!.

# საბაასო

## წერილი რედაქტორთან

უფ. რედაქტორო, აგერ ლამის ორი წელიწადია, რაც თქვენ გაზეთში ჩემი გვარი ხშირათ იხსენება ხან თუ იერიშით დაცინვით, ხან პირ-და-პირ გაკიცხვით. თქვენს თანამშრომლებს, და იქნება მთლათ რედაქციასაც, როგორღაც ვერ მოუნელებიათ ჩემი უცხო ქვეყანაში (როგორც ამბობენ) დასახლება. მე, სწორეთ გითხრათ, აქამდისინ არ ვიცოდი ამის მიზეზი და იჭვნეულებაში ვიყავი ამხანაგის „დროების“ ყოფაქცევაზე. ამ უკანასკნელმა თანამშრომელმა ცოტა არ იყოს გამოამჟღავნა [illegible]. მე მინდა ამის შესახებ ორიოდე სიტყვა მოგახსენოთ, თუ თქვენი ნებაც იქნება.

მაგრამ, მანამ ამ საგანზე დაგიწყებდე ლაპარაკს, მე მივაქცევ თქვენს ყურადღებას იმ გარემოებას, რომლის გამოც ესეთი ვრცელი ლამის ფილოსოფიური ტრაქტატი დაბეჭდეთ სხვათა შორის ჩემზედაც;—ეს ჩემი ვითომ თანამშრომლობა გაზეთში, რომლის გამოცემასაც თფილისში ზოგიერთნი აპირებენ.

თქვენ კარგათ მოგეხსენებათ, რომ მე ერთ დროს „დროებაში“ ცოტა ხანს ცოტაოდენი მონაწილეობა მქონდა. მისიც კარგათ იცით, რის გამოც მე თავი დავანებე ამ თანამშრომლობას. მე მგონია, პირ-და-პირ თქვენთვისაც მითქვამს, რომ მე ორი საქმის ერთათ შესრულება არ შემიძლიან და სხვ. ეხლანდელი ჩემი მოვალეობა ისეთია, რომ ძალიან ცოტა მაქვს თავისუფალი დრო; მაშასადამე ეხლა უფრო შეუძლებელია ჩემთვის ვითარიმე მონაწილეობის მიღება რომელსამე გაზეთში.

ამას გარდა მე ახალ რედაქციას სრულებით ვერ ვიცნობ, გარდა ერთის პირისა. რაც თანამშრომლებს შეეხება, მე ამათზე უფრო სრულებით არა ვიცი რა. მე არა მგონია, რომ გამოჩნდეს ვინმე იმისთანა კაცი, რომელსაც კი შეეძლოს ამ გარემოებაში გაზეთის თანამშრომლობის კისრება.

ამისათვის მიკვირს—საიდამ აიღო ან „დროების“ რედაქციამ, ან უფ. თანამშრომელმა, რომ ვითომ მე ახალ გაზეთში მონაწილეობას ვიღებდე? მოგახსენებთ, რომ ახალ რედაქციასთან მე სრულებით არავითარი მიწერ-მოწერა არა მქონია; არც მათ უთხოვნიათ ჩემთვის თანამშრომლობა და არც მე მიმიცია სიტყვა *).

ეხლა მოუბრუნდეთ თქვენ პარიჟელ თანამშრომელს; (იქნება მუთათურიც იყოს, ვინ იცის? ამ საქმეში გვარის დამალვა რაღა სიპატიოსნეა? არ ვიცი ჩვენი — უვარგისი კაცებისა—სცხვენიან თუ ეშინიან!?)

პატივცემული თანამშრომელი თუმცა კი უცნაური, სხვათაშორის, მეც იმაზე მკიცხავს, რომ უცხო ქვეყანაში დავმკვიდრდი და უცხო ქვეყანაში ვიჩენ თავს. მე, სწორეთ გითხრათ, არ მესმის —რას ნიშნავს ეს სიტყვები, თუმცა კი პირველათ არ მესმის. „დროებამ“ რამდენჯერმე იხმარა, აგრეთვე ბევრჯელ გამიგონია ჩემი ნაცნობებისაგანაც, მაგრამ აზრს კი აქამდისინ კარგათ ვერ მივხვედრივარ.

წარმოიდგინეთ, რომ ვინმეს სურს რომელიმე მეცნიერების საფუძვლიანათ შესწავლა; ის რასაკვირველია წავა იმ ქვეყანაში და იმ ქალაქში, სადაც იმის ჭკუით შეიძლება ამ საქმის ასრულება; ვსთქვათ, ეს უნივერსიტეტია. წარმოიდგინეთ, რომ იმ ქვეყანაში უნივერსიტეტებში ისეთი წყობილებაა, რომ სტუდენტობის დროს იმას არა აქვს არც დრო და არც უფლება მარტო იმ მეცნიერებას მიაპყროს თავის ყურადღება და შრომა; იმან უნდა შეისწავლოს ათი თუ თხუთმეტი (ხვა) მეცნიერებანი და ეს უნდა მოასწროს სამს თუ ოთხ წელიწადში; რასაკვირველია, ის შეისწავლის მხოლოდ მეცნიერების საფუძვლებს და მთლათ მეცნიერებას საფუძვლიანათ ვერა. მაშასადამე უნივერსიტეტის შესრულების შემდეგ მან უნდა ან თავი დაანებოს თავის წადილის შესრულებას და უკან დაბრუნდეს, ან არა და კიდევ დარჩეს რამდენიმე წელიწადი და საფუძვლიანათ [illegible] უნდა, ეს კაცი დარჩება იქ, სადაც ამ წადილის შესრულება შეუძლიან.

ამასთან ესეც დაუმატეთ, რომ ამ კაცს საშუალება არავითარი არ მოეპოვება, მამეული შეძლება არა აქვს და არც ნათხოვარი ფულით უნდა ცხოვრება,—რა უნდა იქნას? რასაკვირველია, სასყიდლით მუშაობა უნდა იშოვოს.

წარმოიდგინეთ, რომ ამან იშოვა ისეთი მუშაობა, რომელიც ამ მეცნიერების შესწავლას ეხმარება. გარდა ამისა, ამ კაცმა მუშაობაში იპოვნა რამე საინტერესო მეცნიერებისთვის და ეს ქვეყანას შეატყობინა ბეჭდვით და ამას მოჰყვა სხვა და სხვა დიპლომები და ადგილები და სხვ.

ნუ თუ ეს არის უცხო ქვეყანაში დასახლება და უცხო ქვეყანაში თავის გამოჩენა? სწორე გითხრათ, არ ვიცოდი და ეხლაც არ ვიცი, არა მჯერა.

ვიცი, დარბაისელ თანამშრომელს მანამ ამ ზემოხსენებულ სურათს ბოლომდინ ჩაიკითხავდა, ხახეში ეს სიტყვები ედგა: „ჩვენთვის სპეციალისტები საჭირო არ არის, ჩვენთვის საჭიროა მხოლოდ განათლებული კაცები.“ ეგეც ვიცი, ბევრჯელ გამიგია, ამ გვარათ ბევრჯელ უსაყვედურიათ ჩემთვის. მაგრამ ამ საგანზე ცოტა შემდეგ მოგელაპარაკებით; ეხლა კი ნება მომეცით მეორე სურათი დაგიხატოთ, რომელიც ცოტათი ამ საგანსაც შეეხება:

წარმოიდგინეთ ახალგაზრდა ყმაწვილი კაცი, რომელმაც [illegible] სემინარიის შესრულების შემდეგ, უმაღლესი სწავლის მიღება მოინდომა, იქნება თქვენ ამის წინააღმდეგიც იყოთ? თუ მართლა თქვენც, როგორც მრავალი ჩვენში, ამ ზემოთ მოყვანილი აზრისა ბძანდებით სპეციალისტებზე და ამასთან ლოღიკური აზრებისაც, თქვენ უეჭველია წინააღმდეგი უნდა იყოთ უმაღლესი სწავლის მიღებისა. ამაში მე ბეჯითათ დარწმუნებული ვარ, მაგრამ ამის წინააღმდეგს კი არას გეტყვით, არა დიროს.—და აი წარმოიდგინეთ, რომ ამ ყმაწვილმა ბევრი ოფლის ღვრით და ბევრი თავში ხეთქით ათიოდე თუმანი იშოვნა და ამით გაემგზავრა უცხო ქვეყანაში სწავლის მისაღებათ. კარგათ იცით ამ ყმაწვილს ამ ათი თუმნიდამ მგზავრობიდამ იმდენი თუ ჩამორჩებოდა, რომ ორი თუ სამი თვე ეცხოვრა უცხო და უცნობ ქალაქში. ამის შემდეგ ესეც იცით, ცხოვრებას ხარჯი უნდა და ამ ყმაწვილმაც მოსძებნა მუშაობა. მაგრამ მუშაობა ისეთი იყო, რომ ეს ყმაწვილი დღეს თუ მძღარი იყო, ხვალ და ზეგ მშიერი; ამ ნაირმა ცხოვრებამ ის ვალებში (სხვა და სხვა პირობებით) ჩააგდო.

უნივერსიტეტში სწავლის შესრულების შემდეგ, ამ ყმაწვილმა მიმართა ზოგიერთ ქართველებს, რომლებიდგანაც მუშაობის შოვნა შეიძლებოდა; მაგრამ ამათ სხვა და სხვა მიზეზების გამო უარი უთხრეს; ზოგმა სთქვა: მეშინიან, ვაი თუ სთქვან, რომ მე ქართველებს გზას ვაძლევო, ზოგმა კიდევ სხვა. რა უნდა ექნა ამ ყმაწვილ კაცს? ნუ თუ ზოგიერთებივით გაჰქცეოდა ვალს და მიმა[illegible] ზე მეთქი ზოგიერთებივით მეთქი. რა ზოგიერთები? მრავალი ჩვენთაგანნი ესრე იქცევიან, ასე რომ საანდაზოთ გავხდით არა თუ მარტო ამ უცხო ქვეყანაში, სამზღვარს გარეთაც კი. ამ ყმაწვილს ითმენა სინიდისი და იმოტენა თავმოყვარეობა კიდევაც დარჩენოდა, რომ ვერც ის გაბედა, მისულიყო თფილისში და რამდენიმე ხანი სხვის ხარჯზე ეცხოვრა და ვერც თავის მოვალეები დაატყუა. რა უნდა ექნა? უნდა მუშაობა ეშოვნა და ვალი გადეხადა. საუბედუროთ თუ საბედნიეროთ, იმან იშოვნა ისეთი მუშაობა, რომ ამით ისევ მეცნიერების გზას დაადგა და ამასთან ჰქონდა ცოტაოდენი დაკვირვება და მოსაზრება, რომ ამ მუშაობაში მეცნიერებისთვის ცოტაოდენი რამ საინტერესო აღმოაჩინა.

ნუ თუ ესეც უცხო ქვეყანაში დასახლებაა და უცხო ქვეყანაში თავის გამოჩენაა? სწორე გითხრათ, არა მჯერა.

უფალი თანამშრომელი იმას არ სჯერდება, რომ ქართველათ აღარა მთვლის, ის საქართველოს მტრობას და ენებსაც მწამებს; ის ამბობს: „რომელნიც დღეს საქართველოს სტოვებენ, არათუ მისთვის არ შრომობენ, არამედ იმას ბევრადაც ვნებენ.“

საკვირველია, ასე ნისლს და ღრუბლებს რათ არტყამს უფალი თანამშრომელი თავის აზრებს, რა არის რომ ცოტა ნათლათ გამოეხატოს თავის აზრი და წადილი; ანტონ ქათალიკოსის ზედ-მოქმედებას თუ მივაწერო ეს?! რა არის დალოცვილს პირ-და პირ ეთქო: რითი ვარ მავნებელი მე საქართველოსი? ყველა პატიოსანი კაცი, თუ ჰკიცხავს ვისმე, თუ ამტყუნებს რაშიმე, ნამდვილათ უნდა დაუსახელოს ეს ყველაფერი. უმისოთ ხომ ამას სხვა სახელი ჰქვიან...

*) მართალია, მომავალი გაზეთის დამაარსებლებს ბეჭდვით არ გამოუცხადებიათ ჯერ თავიანთ თანამშრომლების სახელები; მაგრამ ორმა პირმა: უფ. ი. გოგებაშვილმა და გ. ჯაფარიძემ, რომელთაც კარგათ იციან ხსენებული გაზეთის დაარსების გარემოება, სხვათა შორის, სიტყვიერად, უფ. ვასილი პეტრიაშვილიც დ გვისახელეს მომავალ თანამშრომლებში. იმედია, ეს პირნი ამაზე უარს არ იტყვიან. რედ.

ნუ თუ ჩემი ენება იმაში მდგომარეობს, რომ ჩემის მიხედვით თუ მიბაძვით ანუ ხელმოქმედებით ერთი თუ ორი კიდევ სხვა დარჩა უცხო ქვეყანაში მეცნიერების შესასწავლათ?!—არ მეგონა. ნეტავი ღვთისა და თქვენის წყალობით ერთი და ორი კი არა, ათი და ოცი დარჩენილიყო ამ ჩემი მიხედვით და ამას მე ვნებათ კი არა, დიდს სარგებლობათ ჩავსთვლიდი. იმედი მაქვს, დარწმუნებული ვარ, რომ მე თუ ისე დამეხუჭება თვალები, რომ ჩემს სამშობლოს სარგებლობას ვერას მოუტან, ეს ყმაწვილები თავიანთი ცოდნით და ენერგით თავმოისყიდიან ჩემს უსარგებლობას. დარწმუნებული ვარ, რომ ამ ყმაწვილების შრომა ბევრათ, ათასჯერ უფრო სასარგებლო იქნება (რაც უნდა ცოტა ხნიანი იყოს იმათ შრომა), მინამ იმისთანა სტატიების წერა, როგორიც თქვენ ინებეთ.

პარვათ მოგეხსენებათ, უფალო თანამშრომელო, რომ ხალხის ცხოვრებაში, მის დღეგრძელობაში და კეთილდღეობაში დიდი ადგილი უჭირავს სხვათა შორის ეკონომიურს გარემოებას და მდგომარეობას; თუ ეს გარემოება ისეთია, რომ მას აძლევს ნებას ცოტაოდენი თავისუფალი დრო და ფული იქონიოს, ის მაშინ განათლებასაც მოინდომებს და სხვა ყოველგვარ წინაწევას. უამისოთ კი, ბევრიც რომ უქადაგოთ თქვენი გაზეთებით—ესა და ეს არის საჭიროვო, მაინც თქვენი ქადაგება იქნება ხმა მღაღადებელი უდაბნოსა შინა. იქნება თქვენ ბრძანოთ, რომ ეკონომიური გარემოების გასწორება განათლებით და გაზეთების ჩ ჩინით შეიძლება? მაგრამ მე მოგახსენებთ, რომ თითონ ეს განათლება მატერიალურ მდგომარეობაზეა დამოკიდებული და იქნება ორივენი მართალნი ვიყვეთ, მაგრამ იმ განსხვავებით კი, რომ მატერიალური მდგომარეობა მაინც და მაინც პირველი და უპირველესია.

მაშ იმ კაცების მოქმედება, რომელნიც სამშობლოსთვის კეთილი ჰსურსთ, და ყურადღება უნდა იყოს მიქცეული, იმ სწავლაზე, რომლებიც ამ გარემოების ელდგინებას ცოტათი თუ ბევრით დაეხმარებიან. აი, ჩემო ბატონო, ბუნების გამოძიებას, ბუნებით მეცნიერებას აქიმია, ეს თუ სხვა, სადაც აქვს დიდი და ვრცელი ხელმოქმედება.

უფ. მაჭხელაძე შემდეგ ვრცლათ ლაპარაკობს ჩემს ზნეობაზე და ცოდნაზე. ის ამბობს ჩემზე:

„აკმაყოფილებს ეს თანამშრომელი იმ პირობებს, რომელნიც საჭირონი არიან ლიტერატურაში და ყოველ საზოგადო საქმეში? ვგონებ არა.—აქვს, მითომ, ამ ჩვენს მსწავლულს ქართულ ლიტერატურის სიყვარული? ვსთქვათ უფრო ვრცლად: აქვს მას საზოგადო სიკეთისადმი გულ-მიდრეკილება?.. მე არა მჯერა...“

„რაც ეს კაცი ბავშობის წლოვანებიდგან გამოსულა, მასაქეთ სულ იძახის თურმე: „საქართველო მიყვარს!“ (ნეტავი, როდის მათქმევინა აღსარება!) „მინდა მისი გამოსადეგი ვიყოვო! აბა რადას უცდიდა?.....“ „თუ კი პატივცემულ სწავლულს აქამდინ ამ გზაზე ვერ მოუხერხებია რა, მაშ იგი ცარიელა სიტყვებს ამბობდა, გულს და გრძნობას მის სიტყვებში ადგილი არ ჰქონია.—“... „რაში მოუტანა სარგებლობა ჩვენს მამულს უფ. პროფესორმა? არაფერში. ამიტომაც მისი დაპირება და სხვა და სხვა.“

სწორე გითხრათ, მე აქ მეძნელება პასუხის მიგება; მეძნელება იმიტომ კი არა, რომ ამაზედ პასუხის მიგება მართლა ძნელი და შეუძლებელი იყოს; არა,—იმიტომ, რომ სინიდისი ნებას არ მაძლევს ჩემს ზნეობაზე და ცოდნაზე ვილაპარაკო. ე ჩემის ფიქრით ტრაბახობას დაემსგავსება. ამას კი ვიტყვი, რომ უფ. მაჭხელაძის ლაპარაკს ყოველს განათლებულს საზოგადოებაში უპატიოსნობა თუ არა, უზრდელობა მაინცა ჰქვიან. ამ უზრდელობაზე მე შემდეგ მოვილაპარაკებ და ეხლა კი ამას ვიკითხავ: განა ლიტერატურისთვის შრომა მართლა ისეთია, რომ იქ მსწავლული კაცი ვერას გაარიგებს? მე აქ ვერა გამიგია რა—უფალო მაჭხელაძე ერთის მხრით ამბობს ჩვენმა საზოგადოებამ ჯერ ქართული თვლაც არ იცისო, და ქიმია რომ გვასწავლონ, რას გამოადგებაო, და მეორეს მხრით კი იძახის, რომ მე იმოდენა ცოდნა არა მაქვს, რომ ლიტერატურისთვის ვიშრომო. ნუ თუ დათვლის სწავლებასაც ვერ მოვახერხებ?! აქ მგონი უფ. თანამშრომელს მეტის-მეტი ნახტომით კვალი შეშლია. თუ მართლა ნახტომმა უმტყუნა და იმას ის უნდა ეთქვა, რომ მე საზოგადოთ ლიტერატურისთვის მომზადებული არა ვარ, მგონი, ამაშიაც სცდება.

—ნუ თუ ლიტერატურისთვის შრომა მარტო იმას შეუძლიან, რომელსაც ლათინური ენა ზედმიწევნით შეუსწავლია, ოციოდე სიტყვა ბერძნულიც იცის და ათიოდე სანსკრიტულიც? ნუ თუ მარტო იმას შეუძლიან, რომელსაც საფრანგეთის რევოლიუციის ისტორია გადაკვრით წაუკითხავს და მასთან ზოგიერთი სამზღვარს გარეთ გამოცემული წიგნები და იქნება ერთ—ორ თვეს იქაური ჟურნალებიც ეკითხოს? ნუ თუ ლიტერატურის მშრომელს ამ ათი წლის რუსული ჟურნალების და ჟურნალისტების გაცნობის მეტი არა მოეთხოვება? ნუ თუ ლიტერატურა მარტო ფელეტონებს და პიროვნულ ლანძღვას და გაკიცხვას შეიცავს? არ მეგონა.—მე მეგონა, რომ ლიტერატურა არის ერთის მხრით ხალხობის ცხოვრების გამომხატველი, და მეორეს მხრით შუამდგომელი მეცნიერების და საზოგადოების შორის. მე ამაში დარწმუნებული ვიყავ. მე მგონია, რომ უფრო უპირველესი მოვალეობა ჟურნალისტიკის ეს უკანასკნელია. მგონი, რომ არცა ვსცდებოდე.

უფ. მაჭხელაძეს მგონია უცხოვრია გერმანიაში; მაშ ნახავდა და თუ არ უცხოვრია იქ, ან გაიგებდა, რომ ნემეცურს ჟურნალისტიკაში პირველი ადგილი უჭირავთ სხვა და სხვა სპეციალისტებს და არა მარტო იმათ, რომელთაც სანსკრიტული ენა უ-წავლიათ და ან ფრანგების რევოლიუცია თუნდ ზედმიწევნით შეუსწავლიათ? ამასთან ნუ თუ მისი ჭკუით, ვინც რამე მეცნიერებას საფუძვლიანათ სწავლობს, ის სხვა მოვლინებას და სხვა მეცნიერებას სრულებით თავს ანებებს? იქნება იმას ჰგონია, რომ მეცნიერების შესწავლა ისეთივე საქმეა, როგორც ხარაზობა ანუ დურგლობა? თუ ამის განმარტებაცკი საჭიროა, მაშინ მე შემიძლიან ცალკე აუხსნა უფ. მაჭხელაძეს ეს უმნიშვნელო მოვლენა, და გაზეთში; კი, სწორეთ გითხრათ მე აქ სხვის სმენა და ყურადღება მებრალება. ვიცი უფ. მაჭხელაძე მაინც იმას შემომძახებს, თუ აქამდინ არა სარგებლობა არ მოგიტანია-რა საქართველოსთვის, ვერც კვალად მოახერხებო.

ამ ჰაზრის გამოხატულებას მე გადავეყრები იმ საუკუნეში, როდესაც სხოლასტიკები სცხოვრებდნენ; ხშირათ ისინიც ამ გვარათ ლაპარაკობდნენ. ჰაზრი: თუ არ მიშრომია, ვერ ვიშრომებ, ჰგავს ამ გამოხატულებას: რაც არ დამიკარგავს, ისა მაქვს. ორივე ჰაზრი სიტყვიერების კანონით მართლად არის შედგენილი; მაგრამ მაგალითი რომ ავიღოთ, მაშინ გამოჩნდება თითო ჰაზრიც მართალია თუ არა; მაგ. ვსთქვათ, უფ. მაჭხელაძეს რქები არ დაუკარგავს; განა აქედამ შეიძლება დავსკვნათ ის, წარმოიდგინა, რომ მაშ უფ. მაჭხელაძეს რქები უნდა ებასა? თქვენ რა საკვირველია ხედავთ, რომ ჰაზრი ცრუა; მაგრამ განა ეგრეთვე საფუძვლებზე არ არის დაფუძნებული თქვენი ჰაზრიც?

მე მაინც—და მაინც იმას არ ვამტკიცებ, რომ საქართველოს უეჭველათ დიდს სარგებლობას მოუტან, რომ მე უეჭველათ ბევრს ვიშრომებ და სხვა! ამას დროება გამოაჩენს.

უფ. მაჭხელაძე მაყვედრებს, რომ მე რაც ყმაწვილობის ხნოვანებიდამ გამოველი, ვითომ სულ იმას ვიძახი, რომ საქართველო მიყვარს, საქართველოსთვის ვიშრომებ. ამით მე რასაკვირველია ტრაბახობასა და ტყუილ-უბრალოთ კვეხნას მწამებს. არ ვიცი სადამ გაიგო უფალმა მაჭხელაძემ ეგ—ეთი ჩემი კვეხნა და ტრაბახობა.—მე თითონ საკუთრათ იმ ჰაზრისა ვარ, რომ ვინც ბევრ იკვეხის და ტრაბახობს, ის ყოველთვის ფუჭად კვეხულობს. მაშასადამე მე ამას ტყუილათ მწამებს. შეიძლება, როცა მე ისევ ყმაწვილობის ხანში ვიყავი და წარმოდგენით თუ ვარსკვლავებს არა მთვარეს მაინც მივეპოტნებოდი; როცა მეგონა, რომ ჩემისთანა ღმერთს ჯერ ქვეყანაზე არ გაუჩენია-მეთქი, მაშინ იქნება მეთქოს ამისთანა სიტყვები და ისიც მეგობრებში.—მაგრამ ხომ მოგეხსენებათ ყმაწვილობის ოცნებას რა ფრთები აქვს! რაკი კაცი დადინჯდება, ყნოთ, თუ მეგობრებში იყვირის, რომ მე ის გავაკეთე და ამას ვაპირებო. მაშ მაჭხელაძე აქაც ტყუილუბრალოთ მიგონებს და ცილსა მწამებს.

მე აქ რასაკვირველია ამას ვამბობ შესახებ იმის სიტყვებისა, და არა იმაზე ვითომ მე ან ხელი ამეღოს სამშობლოზე და ან ამის წინაღმდეგ.—რასაც მე ვფიქრობ და ან რის გაკეთებას ვაპირობ, ამასთან არავის საქმე არა აქვს, მანამდისინ მე ვსცოცხლობ კერძო-პირათ. მე არავისთვის არ მიმიცია ნება და არც არავისა აქვს უფლება შეეხოს ჩემ ცხოვრებას, მანამდისინ თითონ ჩემი მოქმედება საზოგადოებას არ შეეხება.—მე აქ კიდევ გავიმეორებ, რომ ამის წინააღმდეგობა უპატიოსნობა თუ არ არის, სრული უზრდელობაა.—

ახლა ამ უზრდელობაზე მოგახსენებთ ორიოდე სიტყვას.

რაც მე თავს მოვესწარ და ცხოვრებას დავაკვირდი, ჩვენი ახალგაზდები, დიპლომიანები არიან ესენი თუ უდიპლომოები, ლამის ყველანი ერთად და თვითეული ცალკე, ღმერთობასა თუ არა, ცხოველ-ბ ტობას მაინც ჩემობენ და იმგვარათვე როგორც ძველი მითოლოგიის ღმერთები, ერთიერთმანეთის დაჩაგვრას და ძირს დამხობასა სცდილობენ. ყველას თვითეულად ჰგონია, რომ იმაზე ჭკვიანი, იმაზე ხასიათიანი და იმაზე ენერგიული არავინ არის. რასაკვირველია, ყველას თავისუფლება აქვს იქონიოს თავის თავზე ისეთი ჰაზრი, როგორიცა სურს; მაგრამ საუბედუროთ აქედგან სხვა მოვლინება წარმოსდგება და აი ეს არის სამწუხარო.

რადგანაც ყველას თავის თავი ბრძენი ჰგონია, ამისათვის სხვისა არარა მოსწონსრა, თუ კი ამ სხვის მოქმედება არ ემსგავსება და ან ცოტაოდნად ეწინააღმდეგება იმის ჰაზრებს და მოქმედებას.

აქედგან წარმოსდგება, ამდენი აყალმაყალი და ამდენი კინკლაობა სრულებით უბრალო საქმეებზე, სრულებით პიროვნულის ხასიათისა. ჩვენში ლამის ყველა დესპოტია და ჰსურს თაყვანის—მცემლები ჰყვანდეს. ამისგამო ჩვენში კაცს პატივი და ფასი არა აქვს, რაც უნდა მშრომელი და კეთილის მოსურნე იყოს საზოგადოებისათვის. ამ უკანასკნელს მაშინვე გამოუჩნდებიან იმისთანები, რომელთაც არ მოსწონთ ისა და ყოველს საშუალებით ეცდებიან უხრიკონ რამე. მე მინახავს და ბევრიც გამიგონია, რომ მეორე კლასიდან გამოგდებული ყმაწვილი კაცი ჰკიცხავდეს სრულებით უსაფუძვლოთ იმისთანა კაცებს, რომლნიც პირშმარიტის გულით შრომობენ სამშობლოსთვის და სარგებლობაც მოაქვსთ. მეტყვიან, ეს ყმაწვილობის შედეგიაო. შეიძლება. მაგრამ საუბედუროთ მარტო ყმაწვილები არ სჩადიან ამისთანა საქმეს; —ჩვენში თუ რამე საზოგადოება შესდგა კეთილის საქმისთვის, ის უეჭველათ ორ დღეს ვერ გასძლებს; ერთი-ერთამანეთს წაეჩხუბებიან და გაეყრებიან. ამასთან საკვირველი ეს არის, ყოველგან და ყოველთვის მოქმედებას მაშინვე პიროვნულ ხასიათს მისწერენ. დღეს შეიყრებიან ერთათ, ფიცს მისცემენ ერთმანეთს, ერთათ ვიმოქმედოთო და ხვალ კი ერთი-ერთმანეთს სძრახვენ.

კიდევ გავიმეორებ, რომ ეს სულ უზრდელობისგან მოგვდის; ჯერ აქამდინ ვერ გვისწავლია, რომ კაცს კაცურათ მოვეპყრათ.

—ამის მიზეზი კიდევ ის არის, რომ ჩვენ ს წავლა [illegible]

ვრცლათ დავპირდით ამ საგანზე მოლაპარაკებას, მაგრამ რადგანაც ეს ჩემი წერილი ცოტა ძალიან გაჭიანურდა, მე მხოლოდ მოკლედ გამოვსთქვამ რაც ამის შესახებ მინდოდა თქმა.

მართალია, ჩვენი ქვეყანა, ჩვენი ხალხი დავრდომილია და ყოველგვარი მომუშავე ჩვენთვის საჭიროა. ამაში ეჭვი არა არის. მაგრამ ამასთან ჩემის ფიქრით რაც უფრო დავრდომილია ხალხი, რაც უფრო ღრმათ არის ჩასული ეს უმეცრებაში და სილარიბეში, იმდენათ უფრო გაწრთვნილი, მცოდნე მუშა სჭირს.

ამისთანა ხალხში საჭიროა, რომ მოქმედი პირი მართლა მუშა იყოს და არა მქადაგებელი; ამისთანა მდგომარეობაში საჭიროა მუშაკმა თავის მხრებზე წამოიკიდოს ის ტვირთი, რომელიც ხალხს ამძიმებს და უშლის წინ წასვლას, და არა მარტო ბრძანებასა სცემდეს; აქ უნდა მაგალითებით იმოქმედოს და არა დარიგებით.—ჩემის ჰაზრით, ვისაც ჰსურს ხალხი კეთილ გზაზე დააყენოს, უეჭველათ პირველათ თითონ უნდა უჩვენოს როგორ შეიძლება ამ გზაზე სიარული. უამისოთ, სხვა გზით მეტის მეტათ ძნელი მოსახერხებელია რისამე გარიგება.

მხოლოდ კიდევ გავიმეორებთ, რომ ჩვენი ყურადღება უნდა იყოს მიქცეული ჩვენი ხალხის ეკანომიურს მდგომარეობაზე და აქ მარტო განათლებული კაცები ვერას გაარიგებენ, მეტადრე ისინი, რომლებსაც ჩვენში ეძახიან განათლებულებს. ჩვენში ვინც კი ხელი მოჰკიდა ან მეურნეობას, ან სხვა სასოფლო და ტეხნიკურ წარმოებას, ყველამ ყველგან ან საქმის დაწყებაც ვერ მოახერხა, და ან თუ ეს როგორმე გააწყვეს, თავის თავს და საზოგადოებას

ზარალის მეტი არა მოუტანეს რა. ამის მაგალითები ბევრი და მრავალია. რა არის ამის მიზეზი? ის, ჩემო ბატონო, რომ ისინი მარტო განათლებულნი (თქვენ ზომაზე) არიან და არა მცოდნენი იმ საქმისა, რასაც ხელსა ჰკიდებდნენ. მგონია, ამას ბევრი ლაპარაკი აღარ უნდა.

ამის გარდა მოგეხსენებათ, რომ ყოველ ხალხს, ყოველ საზოგადოებას, რაც უნდა მდაბალი და შევიწროებული იყოს იმის ეკონომიური ცხოვრება, ამ ხალხს თავისი მოთხოვნილება აქვს და თავისი მოძრაობა. ამ მოძრაობაში საჭიროა გამოჩნდენ იმისთანა მშრომელნი, რომლებმაც მხარი მისცენ და ასე გაუადვილონ ეს მოძრაობა. აქაც, ჩემის ფიქრით, მარტო განათლებულები ვერას გაარიგებენ; აქ საჭიროა დახელოვნებული კაცები.

ჩვენ ცხოვრებაში ამ"ცოტა ხანში ისეთი მოვლინებაები მოხდა და იქნება მოხდეს, რომლებისათვისაც საჭირო იყო და არის კიდეცა, რომ მზათ გვყოლოდა მცოდნე წინამძღოლელნი. ჩვენში დაარსდნენ სხვა და სხვა სასწავლებლები და კიდევაც უნდა მოველოდეთ, დაარსდა ბანკები და იქნება გველირსოს ერობაც და სხვა ამისთანა. განა გვყავს ვინმე მზათ, რომ იკისროს ეს საქმეები და ხელი მოუწყოს? მგონია, დამეთანხმოთ, რომ არა, თუმცა კი ძალიან საჭირონი იყვნენ.—ავიღოთ მაგალითებ ბანკების საქმე. თურმე ახალ თაობას ქუთაისში არა სურდა უფ. ლოლაბერიძეს ამორჩევა ბანკის მმართველათ; მართალი იყო ამაში თუ არა, ამაზე არას ვიტყვი; მაგრამ განა ამ ახალთაობამ წარმოადგინა ვინმე [illegible], რომ ლოლაბერიძის მაგიძებნეს ვინმე, რომ უფ [illegible] მაგიერობა შესძლებოდა [illegible] ვერა? დავანებოდ თავი ზედამხედველებს. იპოვეს ვინმე ისეთი, რომ დავთრების წარმოება, ბუხჰალტერობა ხეირიანათ შესძლებოდა? ამის გარდა, თუ გველირსა ერობა, განა გვყავს ვინმე ისეთი, რომ ეს საქმე ზედმიწევნით შეესწავლოს? ხომ არა? ესრე, ჩემო ბატონო, აქ თქვენი განათლებულები ვერას გაარიგებენ, აქ საჭიროა, ამსაქმეებში საფუძვლიანათ განვითარებული კაცები.

უკანასკნელ ვერ მომითმენია, რომ არა ვკითხო უფ. თქვენს თანამშრომელს და ბევრს სხვებსაც: რას ნიშნავს ეგრე დაცინვით გადაკვრა დიპლომიანებზე? ნუ თუ იმას, რომ უდიპლომოები ცუდად არიან ჩამოსულნი და ყოველ საქმეში ვარგისნი? ჩემი დაკვირვება კი სულ სხვას მეუბნება...

ნათქომია: ისეთმა ფურმა დამწიხლოს, რომ ჩემზე ბევრს იწველიდეს. მე მგონია, რომ ეს უდიპლომოები ბევრს ვერ იწველიდენ.

მართალია, საქმე დიპლომში არ არის; ხანდისხან დიპლომი შემთხვევით მოიპოვება, როგორც განთქმულ მაისში, ხან კიდევ იქნება გაიძვერაობითაც, მაგრამ ყველაზე ხომ ეს არ შეიძლება ითქვას? მრავალზე ამას ვიტყვი: ისინი რომელსამე საქმეს შესდგომიან და კარგათ თუ ავათ ეს საქმე შეუსრულებიათ; ამით, სხვა რომ არა იყოს რა, თავიანთი ხასიათი გაუწრთვნიათ. აქედგან ეს შეიძლება დავსკვნათ, რომ თუ ისინი როდისმე მოინდომებენ სხვა საქმის ასრულებას, არც აქ უმტყუნებთ ეს ხასიათი. განა ესევე შეიძლება ითქვას მრავალთ უდიპლომოებზე? არა მგონია.

ამის გარდა მე მინდა თქვენი ყურადღება მივაქციო ერთ გარემოებას, რომელიც თქვენი თანამშრომელის და სხვების ჰაზრის გავრცელების შედეგია:

უკანასკნელ დროში ჩვენი მოსწავლე ახალგაზდობა იმ ჰაზრით, რომ საქმე დიპლომში არ არისო, ათობით და ოცობით ანებებს თავს უნივერსიტეტს და გიმნაზიას და ბრუნდება შინ და საუბედუროთ ჰკიდებს ხელს მარტო ჟურნალებს და გაზეთებს, და და ხან საადვილო გასაგებ წიგნებს და ამით თავდება მათი განათლება. და განა ასეთი განათლებული კაცები გნებავთ?

ახლა მე ვეკითხავ: ვინ უფრო ვნებას აძლევს, სამშობლოს: მე—უცხო ქვეყანაში დასახ[illegible] გვეოცელებით? *)

*) „დროებას“ თავის დღეში არ უვრცელებია ჰაზრი, რომ ნამდვილი სწავლა და განათლება საჭირო არ არისო. ის იყო წინააღმდეგი მხოლოთ ისეთი სპეციალისტებისა, რომელთაც ცოდნას ამჟამად ჩვენში არც ეკონომიურის და არც ზნეობითის მხრით თითქმის არავითარი სარგებლობის მოტანა არ შეუძლიან. რაც შეეხება იმას, რომ ჩვენში ზოგიერთი ახალგაზდები ჟურნალ-გაზეთების კითხვით ასრულებენ თავიანთ განათლებას,—ვინ იცის ამაში იქნება ის სპეციალისტები უფრო იყვნენ ბრალეულნი, რომელნიც კაბინეთში და სხვა და სხვა ლაბორატორიებში შემწყვდეულან და რომელთათვის ნამდვილი ცხოვრება თავის მოთხოვნილებითა და საჭიროებებით თითქო არ არსობსო.

ეს არის პირველი და უკანასკნელი ჩემი სიტყვა ამ საგანზე.

შემდეგში, თუ კიდევ მოხდა ჩემზე ლაპარაკი, მე პასუხს არავის მივსცემ; არა ღირს.

ვ. პეტრიაშვილი

ოდესსა, 14 აგვისტოს

# განცხადებანი


ბანკირის კანტორა

დამწესებელი

1-ლი გილდიის ვაჭარი

## ა. მ. აქიმოვი

ერევნის მაედანზე, ქუქუჯანოვის სახლებში

წარმოება

1) ასესხებს ფულებს ყოველგვარი მოძრავი ქონებისა, % ბანკის ბილეთებისა, აქციისა და თფილისის ბანკის გირაოს ფურცლებისა და სხ. გირაოთა;

2) ჰყიდულობს და ჰყიდის % ბანკისა და მოგებიან ბილეთებს, აგრეთვე თფილისის კომერციულ ბანკის აქციებსა და თფ. საადგილ-მამულო ბანკის გირაოს ფურცლებსა და სხვ.,

3) ჰყიდულობს უფლებას, რწმუნებითი ქაღალდით, პენსიის მიღებისას, აგრეთვე ფოჩტის, არენდის, კუპონების და სხვ. ფულებისას;

4) ახურდავებს სახელმწიფო სერიებს, ოქროსა და ვერცხლის ფულს რუსეთისას და სამზღვარ გარეთისას.

5) საზღვევველად (სტრახში) [illegible] ბიან ბილეთებს ათ შაურად ქალაქელებისათვის და ქალაქს გარეშე მცხოვრებლებმა ამას გარდა ერთი ფოჩტის მარკა უნდა გამოგზავნონ;

6) ჰყიდის მოგებიან შინაგან სესხის ბილეთებს, დრო-გამოშვებით ფულების მიცემით, ასე რომ მყიდველს შეუძლიან ყოველ თვეში 15 მანეთი შემოიტანოს კანტორაში;

7) ჰყიდის, მინდობილობით, დაგირავებულსა და ვადას გადასულ ძვირფას ნივთებს იაფ ფასად.

(10—1)


ხშირად ერთი უკიდურესი მოქმედება და მიმართულება მეორე უკიდურესობას გამოიწვევს.

რედ.


ბიბლიური საზოგადოების აგენტის წიგნის მაღაზიაში [illegible] მიიღებენ გასასყიდლად უფ. სტ. მელიქიშვილისაგან ქართულს ენაზედ დაბეჭდილს სახარებას, რომელიც გაკეთებული იქნება კარგის ვარაყის კაზმით.

ფასი თითო კაზმიანი წიგნისა—ხუთი შაური

მინუში მსურველს შეუძლიან ყოველ დღე ნახოს ხსენებულს მაღაზიაში: კუკიის ხიდთან, მირზოევის სახლებში. (3—1)

იბეჭდება და ამ დღეებში გამოვა

ქართული პროპისი

(წერის სასწავლებელი რვეული)

შედგენილი ვ. გაბიჩვაძისაგან

გაისყიდება: თფილისში—უფ. არს. კალანდაძის წიგნის მაღაზაში და ქუთაისში—უფ. სვ. ჩიმახიძის სტამბაში.

რვეულის ფასი ამ მოკლე ხანში იქნება გამოცხადებული. (3—2)

გრადუსი 9 კაპეიკათ

პურის არაყი, აქციზის ვალი მიცემული, კარგად გაწმენდილი ისყიდება სპირტის ოპტოვოი სკლადში ნადვორნი სოვეტნიკ ალექსანდრე ლაზარის ძის თაიროვისას, თავის საკუთარ სახლში, არქიელის მეიდანზედ. სყიდვა შეიძლება 3 ვედროდამ 40 გრადუსამდე და მეტიც. (3—3)

LA VELOUTINE

(ველუტინი)

ერთნაირი ბრინჯის პუდრი (უმარილი), ბისმუტით გაკე-[illegible]

ისეთი ზედმოქმედება აქვს ადამიანის ხორცის კანზე, რომ ალბობს და ახალგაზდა ადამიანის კანს დაამსგავსებს.

კანს ეკვრება და არა სჩანს.

შ. ფაი—გამომგონი

pommade satin

(ატლასის პომადა)

ხელების კანის რბილად შესანახავად; ზამთარში არ დაუსკდება ხელის კანი, ვინც ამ პომადას ხმარობს.

9, Rue de la Paix, Paris

156—56


| რკ. გზა. | დილა. | | სალამ. | | II კ. | | III კ. | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| თფილისი . | 9 | 36 | 4 | 54 | | | | |
| მცხეთა. . . | — | — | — | — | - | 68 | - | 38 |
| გორი . . | 12 | 21 | 8 | 41 | 2 | 40 | 1 | 23 |
| ხაშური . . | 2 | — | 11 | 10 | 3 | 92 | 2 | 18 |
| ბეჟათუბანი | — | — | | | 4 | 42 | 2 | 46 |
| ყვირილა . | — | — | | | 5 | 81 | 3 | 23 |
| ქუთაისი. . | 8 | 23 | | | 6 | 75 | 3 | 75 |
| სამტრედია . | — | — | | | 7 | 73 | 4 | 29 |
| ახ.-სენაკი . | — | — | | | 8 | 57 | 4 | 76 |
| ფოთი. . . | 11 | 44 | | | 9 | 75 | 5 | 42 |
| ფოთი . . | 8 | 40 | | | | | | |
| ახ.-სენაკი. | — | — | | | 1 | 18 | - | 66 |
| სამტრედია. | — | — | | | 2 | 6 | 1 | 14 |
| ქუთაისი . | 11 | 51 | | | 3 | 4 | 1 | 69 |
| ყვირილა. . | — | — | | | 3 | 98 | 2 | 21 |
| ბეჟათუბანი | — | — | ღამე | | 5 | 33 | 2 | 96 |
| ხაშური . . | 5 | 41 | 1 | 6 | 5 | 84 | 3 | 24 |
| გორი . . | 7 | 23 | 3 | 6 | 7 | 36 | 4 | 9 |
| მცხეთა . . | — | — | | | 9 | 8 | 5 | 4 |
| თფილისი . | 10 | 16 | 7 | 24 | 9 | 75 | 5 | 42 |

## ცეცხლის გემები

ა) ფოთიდამ მიდის:

ოდესისკენ—შაბათს დილის 8 საათ.

სტამბოლს—კვირაობით, დილას.

ბ) ოდესსიდამ:

ფოთისკენ—ორშაბ. ნასად. 3 საათ.

სტამბოლს—ოთხშაბათს, შუადღეზე

| ფოთიდამ: | I | | II | | III | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სოხუმამდი . | 4 | „ | 3 | „ | 1 | „ |
| ქერჩამდი. . | 20 | 50 | 15 | 50 | 5 | „ |
| ტაგანროგ. | 34 | „ | 27 | „ | 8 | 60 |
| ოდესსამდი. | 38 | „ | 30 | „ | 9 | 60 |

| ტელეგრაფი | მ. | კაპ |
|---|---|---|
| ოცი სიტყვა თფილისიდამ: | | |
| ქუთაისს, ფოთს . . . | 1 | — |
| გორს, დუშეთს, სიღნახს | | 50 |
| როსტოვს ოდესას მოსკოვს | 2 | — |
| პეტერბურგს, ვარშავას . . | 2 | — |
| ოსმალეთში, შვეიცარიაში | 3 | — |
| იტალიაში და საფრანგეთში. | 3 | 50 |
| ინგლისში. . . . . . | 3 | 75 |

## ფოშტა

ა) თფილისიდამ:

სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს—ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ოთხშ., ოზურგეთს — პარასკ. და ორშაბ. ბაქოს — ორშ. სამშაფ. და შაბ. კახეთს — სამშ. და შაბ.

ბ) ქუთაისიდამ:

თფილისისა და ფოთისაკენ—ყოველ დღე, კვირას გარდა. ოზურგეთს—ორშ. და პარასკ. ზუგდიდს—ოთხშაბ.

გ) გორიდამ.

ყოველგან ყოველ დღე, კვირას გარდა.

დ) ფოთიდამ:

ყოველგან ყოველ დღე, კვირას გარდა.

| წიგნის გაგზავნა რუსეთში და სამზღვარ გარეთ: | კაპ |
|---|---|
| ღია წიგნის . . . . . . . . | 4 |
| დაბეჭდილის (სამი მისხალი) . | 8 |

| ბირჟა | მან. | კაპ |
|---|---|---|
| პეტერბურგი, 18 აგვის. | | |
| ერთი მანეთი ღირს: | | |
| ლონდონში $3\frac{1}{2}$ პენსი. | — | 84 |
| პარიჟში $331\frac{1}{2}$ სანტიმი. | — | 89 |
| ესკონტი (სარგებლისფასი) | 6 | — |
| ბანკის ბილეთი 5% | 99 | 25 |
| მოგებიანი (პირველისესხი) | 198 | — |
| მოგებიანი (მეორე სესხი) | 196 | 50 |
| გირაოს ფურცლები: | | |
| თფილ. სააზნ. ბანკისა. | — | — |
| ხერსონის ბანკის ($5\frac{1}{2}$) | 88 | — |
| მოსკოვის (5%). . . . | 91 | 25 |
| აქციები: | | |
| ოდესის ხავაჭრო ბანკის | 158 | — |
| ფოთი-თფილ. რკინ. გზის | 139 | 50 |
| შავიზღვის ცეცხ. გემების | 530 | — |
| კავკაზის და მერკურის. . | 205 | — |
| პირვ. საზღვევ. საზოგ. | 724 | — |
| პეტერბ. საზღვევ. საზ. | 263 | — |
| მოსკოვის საზღვევ. საზ. | 260 | — |

| მაზანდა | მან | კაპ |
|---|---|---|
| თფილისი, 24 აგვის. | | |
| პური შორაგალის ფთ. | — | 80 |
| ქერი ფუთი. . . . | — | 60 |
| ბამბა ერევნისა, ფუთი . | 5 | 50 |
| —ამერიკისა, ფუთი. . | 6 | 30 |
| ბაჰენტილი ბამბა ფთ. | 8 | — |
| მატყლი თუშური ფთ . | 7 | 50 |
| —თარაქამისა ფთ. . | 7 | 50 |
| აბრეშუმი ნუხური გრ. | 2 | 60 |
| ქონი, ფუთი. . . | 4 | — |
| ქონის სანთელი ფუთი. | 5 | 60 |
| სტეარინის სანთელი, ფ. | 10 | 30 |
| ხორცი ძროხისა, ლიტ. | — | 45 |
| —ცხვრისა, ლიტრა. . | — | 54 |
| სპირტი, ვედრო. . . | 6 | 60 |
| შაქარი, ბროც. ფუთი . | 6 | 90 |
| —ფხვნილი ფუთი . . | 5 | 80 |
| ჩაია გრგვალი ფუთი . | 19 | — |
| ზეთი ქუნჯუთისა ფთ. | 5 | 50 |
| ოქრო ½ იმპერიალი. . | 6 | 27 |

Дозволено цензурою. Тифлисъ, 25 Августа 1876 г. Типографія Меликова и К°. გამომცემელი ს. მელიქიშვილი რედაქტორი ს. მესხი.